საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

ორგანიზაციული სტრატეგია 2025-2027 წელი

მიღებულია ა(ა)იპ - საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის 2024 წლის 30 ნოემბრის საერთო კრებაზე.

სარჩევი

შესავალი 4

ნაწილი I. ორგანიზაციის მისია და ხედვა 4

ნაწილი II. სტრატეგიული განვითარების მიზნები და ამოცანები 6

სტრატეგიული მიზანი 1. დემოკრატიული პროცესების გაძლიერების ხელშეწყობა 6

ამოცანა 1.1. სამართლიანი საარჩევნო გარემოს უზრუნველყოფის ხელშეწყობა 6

ამოცანა 1.2 მართლმსაჯულების და სამართალდამცავი ორგანოების სისტემის ინსტიტუციური დამოუკიდებლობის გაძლიერების ხელშეწყობა 7

ამოცანა 1.3 დეცენტრალიზაციის ან ეფექტიანი თვითმმართველობის ხელშეწყობა 7

ამოცანა 1.4. საპარლამენტო ცხოვრების გაუმჯობესების ხელშეწყობა 8

ამოცანა 1.5. ცენტრალურ და ადგილობრივ დონეზე საჯარო მმართველობის პრინციპების განმტკიცება 8

ამოცანა 1.6. ევროინტეგრაციის ხელშეწყობა 9

სტრატეგიული მიზანი 2. ადამიანის უფლებების დაცვა ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე 9

ამოცანა 2.1. მნიშვნელოვან უფლებრივ საკითხებზე ადგილობრივი ადვოკატირების პლატფორმების გამოყენება 9

ამოცანა 2.2. ადამიანის სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებებზე ინფორმირებულობის გაზრდა 10

ამოცანა 2.3. ეთნიკური უმცირესობების სოციალური უფლებების შესახებ ცნობიერების ამაღლება 11

ამოცანა 2.4. გენდერულად მოტივირებულ ძალადობაზე გაუმჯობესებული უფლებრივი გარემოს ჩამოყალიბების ხელშეწყობა 12

ამოცანა 2.5. უმაღლესი იურიდიული განათლების სისტემის მხარდაჭერა ადამიანის უფლებების პრაქტიკულ ასპექტებზე სტუდენტების ინფორმირებულობის გაზრდით 12

ამოცანა 2.6. საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებთან მჭიდრო კომუნიკაცია 12

ამოცანა 2.7. საერთაშორისო არასასამართლო ორგანოებთან კომუნიკაცია მათ მიერ საქართველოში უფლება დარღვევებზე რეაგირების მიზნით. 13

ამოცანა 2.8. ქვეყნისთვის გასაცემი რეკომენდაციების ფორმირებაში მონაწილეობის მიღება საერთაშორისო ორგანიზაციებში ჩრდილოვანი ანგარიშების წარდგენის გზით 13

სტრატეგიული მიზანი 3. საზოგადოებისთვის კვალიფიციური სამართლებრივი დახმარების ხელმისაწვდომობის გაზრდა 14

ამოცანა 3.1. სამართლებრივი დახმარების მიზნებისთვის ორგანიზაციული საქმიანობის პრიორიტეტული მიმართულებების განსაზღვრა და კრიტერიუმების განახლება 14

ამოცანა 3.2. სამართლებრივი პრაქტიკის განზოგადება და პრაქტიკული სახელმძღვანელო დოკუმენტების შექმნა 15

ამოცანა 3.3. სამართალწარმოების პროცესში პრაქტიკული გამოწვევებისა და საკანონმდებლო ხარვეზების იდენტიფიცირება და მათი გადაჭრა სტრატეგიული სამართალწარმოების და საკანონმდებლო ინიციატივების გზით 15

ამოცანა 3.4. სამართლებრივი გამოცდილების გაზიარება დაინტერესებული მხარეებისათვის 15

სტრატეგიული მიზანი 4. ორგანიზაციული გაძლიერებისა და მდგრადობის უზრუნველყოფა 16

ამოცანა 4.1. ტალანტების მოზიდვა, შენარჩუნება, მუდმივი განვითარების ხელშეწყობა და გაძლიერება 16

ამოცანა 4.2. მმართველობის მოდელის გაუმჯობესება 17

ამოცანა 4.3. თანამშრომელთა საქმიანობის შეფასების სისტემის გაუმჯობესება 17

ამოცანა 4.4. შიდა პროცესების გაუმჯობესებაზე ზრუნვა 18

ამოცანა 4.5. თანამშრომელთა კეთილდღეობაზე, ჩართულობასა და მრავალფეროვნებაზე ზრუნვა 18
ამოცანა 4.6. კიბერ და ინფორმაციული საფრთხეების მყისიერი იდენტიფიცირება და თავდაცვის მექანიზმების დანერგვა 19
ამოცანა 4.7. რეგიონული ოფისების გაძლიერება და სათაო ოფისთან კომუნიკაციის გაუმჯობესება 19
ამოცანა 4.8. ორგანიზაციის ფინანსური სტაბილურობის უზრუნველყოფა 19
ამოცანა 4.9. მონიტორინგისა და შეფასების სისტემის გაუმჯობესება 20
სტრატეგიული მიზანი 5. სტრატეგიული კომუნიკაციის გაუმჯობესება 21
ამოცანა 5.1. საიას ბრენდისა და ციფრული არხების გაძლიერება 21
ამოცანა 5.2. საიას რეპუტაციული და საინფორმაციო იმიჯის გაძლიერება 21
ამოცანა 5.3. მოქალაქეების ჩართულობის გაზრდა წინასაარჩევნო და მიმდინარე საარჩევნო პროცესში 22
ამოცანა 5.4. საიას სპიკერების გაძლიერება განგრძობადი ტრენინგებით მედიასთან კომუნიკაციაში. 22
ამოცანა 5.5. მედიასთან კომუნიკაციის გაძლიერება 22
ამოცანა 5.6. ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან პარტნიორობის გაძლიერება 23
ამოცანა 5.7. კრიზისული კომუნიკაციის გეგმა 23
სტრატეგიული ჩარჩო 24
დანართი I. სტრატეგიის განხორციელებასთან დაკავშირებული რისკები და მათი მართვა 25

შესავალი

2024 წლის 3 ივნისს, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ, შალვა პაპუაშვილმა, ხელი მოაწერა ,,უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ საქართველოს კანონს, რომელიც ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას, საერთაშორისო ხელშეკრულებებს და შეუთავსებელია დემოკრატიული, სამართლებრივი და სოციალური სახელმწიფოსთვის.

კანონის მიღებით, ხელისუფლებამ განზრახ შეუქმნა საფრთხე ჩვენი ქვეყნის განვითარებას, ადამიანის უფლებების დაცვას, ევრო-ატლანტიკურ ინტეგრაციას, საერთაშორისო რეპუტაციას, სამოქალაქო წესრიგს, მშვიდობასა და ქვეყნის ეკონომიკურ კეთილდღეობას.

ამ კანონით, უცხოური ძალის ინტერესების გატარებად ცხადდება ის საქმიანობა, რასაც საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (შემდგომში - ,,საია“) დაარსების დღიდან საქართველოში ადამიანის უფლებების დასაცავად და სამართლის უზენაესობის პრინციპების დასამკვიდრებლად აკეთებდა და აკეთებს.

რეგისტრაცია რეესტრში, რომელიც საქართველოს და ქართული საზოგადოების სასიკეთოდ განხორციელებულ საქმიანობას უცხოური ძალის ინტერესების გატარებად აცხადებს, და იწვევს ორგანიზაციის სტიგმატიზებას, შეუთავსებელია საიას მისიასთან, მიზნებთან, პრინციპებთან და წარმოადგენს ორგანიზაციის დამაზიანებელ ქმედებას.

ამ კანონიდან მომდინარე საფრთხეების პირობებში, საიას საერთო კრება წარმოდგენილ სტრატეგიას ამტკიცებს იმ დათქმით, რომ მის აღსრულებას საიას გამგეობა უზრუნველყოფს შექმნილი კონტექსტის შესაბამისად.

ნაწილი I. ორგანიზაციის მისია და ხედვა

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის 2025-2027 წლების ორგანიზაციული სტრატეგია ეფუძნება ორგანიზაციის მისიას, ხედვასა და მის ძირითად ღირებულებებს.

საიას მისია:
ჩვენ ვიცავთ ადამიანის უფლებებს და ვაძლიერებთ დემოკრატიას ღირსეული, სამართლიანი და თანასწორი გარემოსთვის.

ხედვა:

- ყოველთვის ვდგავართ ადამიანის უფლებების სადარაჯოზე და მუდმივად ვიბრძვით ღირსეული, სამართლიანი და თანასწორი გარემოს დასამკვიდრებლად;

- ხელს ვუწყობთ ქვეყნის დემოკრატიის განვითარებას სახელმწიფო ინსტიტუტების დამოუკიდებლობისა და ანგარიშვალდებულების გაძლიერების გზით;
- საზოგადოების ფართო ჯგუფებისთვის ხელმისაწვდომს ვხდით უფასო სამართლებრივ დახმარებას;
- ხელს ვუწყობთ ადამიანების აქტიურ მონაწილეობას საზოგადოებრივ ცხოვრებაში მათი ინფორმირებულობის გაზრდის გზით.

საიას ხედვა ეფუძნება ისეთი საზოგადოების ჩამოყალიბების ხელშეწყობას, სადაც დაცულია ადამიანის უფლებები, დემოკრატია არის ძლიერი და თითოეული ინდივიდი სარგებლობს ღირსეული, სამართლიანი და თანაბარი გარემოთი.

ხედვა მოიცავს რამდენიმე ძირითად ელემენტს:

ადამიანის უფლებათა დაცვა: საია აღიარებს მისი, როგორც ადამიანის უფლებათა ფხიზლად მცველის როლს. ორგანიზაცია ცდილობს შექმნას და შეინარჩუნოს ისეთი გარემო, სადაც ღირსება, სამართლიანობა და თანასწორობა ფუნდამენტური ღირებულებებია.

დემოკრატიის გაძლიერება: საია ხელს უწყობს დემოკრატიის განვითარებას სახელმწიფო ინსტიტუტების დამოუკიდებლობისა და ანგარიშვალდებულების გაძლიერების მიზნით. ეს მოიცავს გამჭვირვალე მმართველობის, სასამართლოს დამოუკიდებლობისა და კანონის უზენაესობის ადვოკატირებას.

ხელმისაწვდომი იურიდიული დახმარება: საიას ერთ-ერთი მთავარი პრინციპია უფასო იურიდიული დახმარება ხელმისაწვდომი გახადოს საზოგადოების ფართო ჯგუფებისთვის. იურიდიული დახმარების გაწევით, საია უზრუნველყოფს, რომ ფიზიკურმა პირებმა, განსაკუთრებით მარგინალიზებული თემებიდან, მიიღონ სამართლებრივი დახმარება და დაიცვან თავისი უფლებები.

საზოგადოების მონაწილეობა და ინფორმირებულობა: საია მოწოდებულია ხელი შეუწყოს მოქალაქეების აქტიურ მონაწილეობას საზოგადოებრივ ცხოვრებაში. სამართლებრივი და დემოკრატიული პროცესების შესახებ საზოგადოების ინფორმირებულობის დონის გაზრდით, საია ინდივიდებს აძლევს შესაძლებლობას ჩაერთონ სამოქალაქო აქტივობებში და წვლილი შეიტანონ სამართლიანი საზოგადოების განვითარებაში.

ნაწილი II. სტრატეგიული განვითარების მიზნები და ამოცანები

სტრატეგიული მიზანი 1. დემოკრატიული პროცესების გაძლიერების ხელშეწყობა

დემოკრატიული პროცესების გაძლიერების ხელშეწყობა ასოციაციის ერთ-ერთი მთავარი ამოცანა და პრიორიტეტია.

მომდევნო წლებში დემოკრატიული პროცესების გაძლიერების ხელშეწყობის მიზნით ორგანიზაცია სხვადასხვა ფორმით აპირებს საქმიანობას. კერძოდ, საია გეგმავს ხელი შეუწყოს სამართლიანი საარჩევნო გარემოს ჩამოყალიბებას, მართლმსაჯულებისა და სამართალდამცავი ორგანოების სისტემების ინსტიტუციური დამოუკიდებლობის გაძლიერებას, საპარლამენტო ცხოვრების გაუმჯობესებას, ცენტრალურ და ადგილობრივ დონეზე საჯარო მმართველობის პრინციპების განმტკიცებას. ორგანიზაცია ასევე გეგმავს, განაგრძოს ევროინტეგრაციის პროცესებისა და ადგილობრივი მოსახლეობისა და თვითმმართველი ორგანოების მხარდაჭერა.

ამოცანა 1.1. სამართლიანი საარჩევნო გარემოს უზრუნველყოფის ხელშეწყობა

დემოკრატიული პროცესების გაძლიერების ხელშეწყობისთვის სამართლიანი საარჩევნო გარემოს უზრუნველყოფა საიას ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა. აღნიშნულის მისაღწევად ორგანიზაცია აქტიურად იმუშავებს საარჩევნო საკანონმდებლო ჩარჩოს გასაუმჯობესებლად. კერძოდ, საია განახორციელებს საკანონმდებლო ჩარჩოს კვლევას, რათა კვლევის შედეგად გამოავლინოს კანონმდებლობაში არსებული ხარვეზები. გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით, საია წარადგენს საერთაშორისო კარგი პრაქტიკის კვლევასა და რეკომენდაციებს და განახორციელებს ადვოკატირების კამპანიებს, რათა გადაწყვეტილების მიმღებმა ორგანოებმა საიას წარდგენილი რეკომენდაციები გაითვალისწინონ.

ამასთანავე, საია აქტიურად განახორციელებს წინასაარჩევნო და საარჩევნო პროცესების მონიტორინგს და შეფასებას. კერძოდ, ორგანიზაცია აქტიურად იქნება ჩართული გრძელვადიან საარჩევნო მონიტორინგის მისიაში. ამისათვის, საია დააკომპლექტებს საარჩევნო მონიტორინგის გუნდს და მისი დახმარებით რეგულარულად გამოაქვეყნებს საარჩევნო მონიტორინგის შუალედურ და საბოლოო ანგარიშებს. ორგანიზაცია ასევე აქტიურად დააკვირდება საარჩევნო პროცესს უშუალოდ არჩევნების დღეს, დარღვევების იდენტიფიცირების მიზნით და მოგვიანებით წარადგენს საკუთარ რეკომენდაციებს საარჩევნო დღეს არსებული დარღვევების გამოსასწორებლად. საია ასევე წარადგენს სამართლებრივ სარჩელებს საარჩევნო დარღვევების თაობაზე და აქტიურად იქნება ჩართული სასამართლო დავებში.

ამოცანა 1.2 მართლმსაჯულების და სამართალდამცავი ორგანოების სისტემის ინსტიტუციური დამოუკიდებლობის გაძლიერების ხელშეწყობა

დემოკრატიული პროცესების გაძლიერებისთვის მნიშვნელოვანია მართლმსაჯულებისა და სამართალდამცავი ორგანოების სისტემის ინსტიტუციური დამოუკიდებლობის გაძლიერების ხელშეწყობა. აღნიშნული მიზნის მისაღწევად, საია აქტიურად იმუშავებს შესაბამისი საკანომდებლო ჩარჩოს გაუმჯობესებაზე. კერძოდ, ორგანიზაცია განახორციელებს საკანონმდებლო ჩარჩოს კვლევას კანონმდებლობაში ხარვეზების გამოვლენისა და შემდგომში მათ გამოსასწორებლად რეკომენდაციების წარდგენის მიზნით. ორგანიზაცია ასევე წარადგენს კარგი პრაქტიკის კვლევას და განახორციელებს ადვოკატირების კამპანიების კანონმდებლობაში სათანადო ცვლილებების შეტანის მხარდასაჭერად.

საია გააგრძელებს მართლმსაჯულების და სამართალდამცავი ორგანოების საქმიანობის მონიტორინგს და შეფასებას და აქტიურად გამოაქვეყნებს მონიტორინგის ანგარიშებს შესაბამისი საკანონმდებლო წინადადებებითა და რეკომენდაციებით.

ორგანიზაცია აღმოჩენილი ხარვეზების შესახებ რეგულარულად გაუზიარებს ინფორმაციას ძირითად აქტორებს (საერთაშორისო ორგანიზაციები, პოლიტიკური პარტიები, მედია და ა.შ.) პოლიტიკის დოკუმენტებისა (Policy Memo) და ჩრდილოვანი ანგარიშების გამოქვეყნების და რეგულარული შეხვედრების გზით.

ამოცანა 1.3 დეცენტრალიზაციის ან ეფექტიანი თვითმმართველობის ხელშეწყობა

მომდევნო წლებში დემოკრატიული პროცესების გაძლიერების ხელშეწყობის მიზნით ორგანიზაციის კიდევ ერთი მთავარი ამოცანა ადგილობრივი მოსახლეობისა და თვითმმართველი ორგანოების მხარდაჭერა იქნება. ამის მისაღწევად საია ხელს შეუწყობს დეცენტრალიზებულ მმართველობას. კერძოდ ორგანიზაცია შეაფასებს დეცენტრალიზაციის არსებულ სტრატეგიას და ხელისუფლების მხრიდან დეცენტრალიზაციის სტრატეგიის საფუძველზე აღებული ვალდებულებების შესრულების ეფექტურობას. კვლევის შედეგად საია გამოავლენს არსებულ ხარვეზებს და მათ აღმოსაფხვრელად წარადგენს შესაბამის რეკომენდაციებს. ორგანიზაცია ასევე მოახდენს მოსახლეობის ინფორმირებას დეცენტრალიზაციის სიკეთეებსა და მნიშვნელობაზე.

ამასთანავე, იმისათვის რომ უზრუნველყოს ადგილობრივი და თვითმმართველი ორგანოების მხარდაჭერა, საია ადვოკატირების გზით ხელს შეუწყობს ინოვაციური მონაწილეობითი მექანიზმების დანერგვას. აღნიშნულის მისაღწევად საია აწარმოებს კვლევებს და გამოაქვეყნებს შესაბამის ანგარიშებსა და სახელმძღვანელოებს

ინოვაციური მონაწილეობითი მექანიზმების შესახებ, ტრენინგებს ჩაუტარებს სამიზნე ჯგუფებს და გამართავს მათთან შეხვედრებს ცნობიერების ამაღლების მიზნით.

ამოცანა 1.4. საპარლამენტო ცხოვრების გაუმჯობესების ხელშეწყობა

დემოკრატიული პროცესების ხელშეწყობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი განმსაზღვრელი ფაქტორია საპარლამენტო ცხოვრების გაუმჯობესება. მომავალი წლების განმავლობაში საია აქტიურად ჩაერთვება ამ პროცესში. კერძოდ ორგანიზაცია გააგრძელებს კანონშემოქმედებით პროცესებში მონაწილეობას კომიტეტებზე დასწრებით და თავისის მოსაზრებების წარდგენის გზით. ორგანიზაცია ასევე აქტიურად განაგრძობს საკანონმდებლო წინადადებების მომზადებას და საპარლამენტო პარტიებსა და პარლამენტის აპარატის თანამშრომლებთან შეხვედრებს აზრების გაცვლის მიზნით.

საია განახორციელებს პარლამენტის საზედამხედველო ფუნქციების შესრულების მონიტორინგისა და შეფასებას და ამ ფუნქციების განხორციელებაში ეფექტიანობის ასამაღლებლად სათანადო რეკომენდაციების მომზადებასა და წარდგენას. აღნიშნულის მისაღწევად ორგანიზაცია აწარმოებს და გამოაქვეყნებს რეგულარულ ანგარიშებს პარლამენტის მონიტორინგის ფუნქციის ეფექტურობის შესახებ, შეიმუშავებს რეკომენდაციებს და წარადგენს საკანონმდებლო წინადადებებს. ორგანიზაცია ასევე ჩაატარებს საპარლამენტო საქმიანობის შესახებ მოქალაქეების ინფორმირების და ცნობიერების ამაღლების კამპანიებს და დაინტერესებული მხარეებისთვის გამოაქვეყნებს საერთაშორისო კარგი პრაქტიკის შესახებ ანალიტიკურ სტატიებს.

ამოცანა 1.5. ცენტრალურ და ადგილობრივ დონეზე საჯარო მმართველობის პრინციპების განმტკიცება

ცენტრალურ და ადგილობრივ დონეზე საჯარო მმართველობის პრინციპების განმტკიცება ხელს უწყობს დემოკრატიული პროცესების გაძლიერებას. აღნიშნული პროცესის მხარდასაჭერად საია იმუშავებს საჯარო ინსტიტუტების ღიაობის გასაზრდელად და მოახდენს სახელისუფლებო ინსტიტუტების ღიაობის მონიტორინგს. მონიტორინგის შედეგებს ორგანიზაცია გააცნობს სხვადასხვა სამიზნე ჯგუფებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებს. ამასთანავე, ორგანიზაცია განახორციელებს საერთაშორისო კარგი პრაქტიკის კვლევას და წარუდგენს ხელისუფლებას რეკომენდაციებს ანგარიშვალდებულების გაუმჯობესების და კეთილსინდისიერების ამაღლების ხელშეწყობის მიზნით.

ამოცანა 1.6. ევროინტეგრაციის ხელშეწყობა

მომდევნო წლების განმავლობაში ასოციაციის კიდევ ერთი მთავარი ამოცანა ევროინტეგრაციის ხელშეწყობა იქნება. აღნიშნულის მისაღწევად ორგანიზაცია განახორციელებს ევროკავშირის ინტეგრაციის გზაზე სახელმწიფოს მიერ შესრულებული ვალდებულებების მონიტორინგს და შეფასებას. საია უზრუნველყოფს პრიორიტეტული საკითხების იდენტიფიცირებას და შეაფასებს, რამდენად ასრულებენ სახელმწიფო უწყებები ევროკავშირში გაწევრიანებისთვის აღებულ ვალდებულებებს. გარდა ამისა ორგანიზაცია გამოაქვეყნებს კარგი პრაქტიკის კვლევას, რომ ხელი შეუწყოს ევროინტეგრაციის პროცესში აღებული ვალდებულებების შესრულებას.

ამასთანავე, საია ადვოკატირების გზით რეკომენდაციებს შესთავაზებს ხელისუფლებას ევროინტეგრაციის პროცესის დაჩქარების მიზნით. კერძოდ, ადვოკატირების პროცესში ორგანიზაცია გამართავს შეხვედრებს საერთაშორისო და ადგილობრივ პარტნიორებთან, აწარმოებს ევროინტეგრაციის მხარდამჭერ საინფორმაციო კამპანიებს და წარუდგენს რეკომენდაციებს გადაწყვეტილების მიმღებ ინსტიტუტებს.

სტრატეგიული მიზანი 2. ადამიანის უფლებების დაცვა ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე

ადამიანის უფლებების დაცვა ასოციაციის ასევე ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა, რომლის მიზანია ადამიანის უფლებების დაცვის უზრუნველყოფისათვის სისტემური ცვლილებების მიღწევა და ადამიანის უფლებების მდგომარეობის გაუმჯობესება. შესაბამისად, მათი საქმიანობის გაგრძელება ადამიანის უფლებების დაცვასა და ადვოკატირებაში როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო დონეზე, გადამწყვეტია ორგანიზაციული განვითარების სტრატეგიის მიზნების მისაღწევად.

ასოციაცია მიზნად ისახავს ადამიანის უფლებების დაცვას მრავალმხრივი მიდგომით, რომელიც მოიცავს ადვოკატირებას, ინფორმირებულობის ამაღლებას, განათლებასა და საერთაშორისო თანამშრომლობას. მოცემული მიზანი დაყოფილია კონკრეტულ ამოცანებად, რომელთაგან თითოეული მიმართულია ადამიანის უფლებების დაცვის კრიტიკულ ასპექტებზე და საზოგადოებაზე არსებითი ზემოქმედების შესაქმნელად.

ამოცანა 2.1. მნიშვნელოვან უფლებრივ საკითხებზე ადგილობრივი ადვოკატირების პლატფორმების გამოყენება

ადგილობრივ დონეზე ეფექტური ადვოკატირებით ასოციაცია უზრუნველყოფს საკანონმდებლო და პრაქტიკული საკითხების სწრაფ განხილვას, შესაბამისად

ადამიანის უფლებების დაცვის მხრივ არსებული გარემოს გაუმჯობესებას. ადამიანის უფლებების სტანდარტების გაუმჯობესების მიზნით, ასოციაცია შესაბამის უწყებებთან უშუალო თანამშრომლობით, შემდეგი წლების განმავლობაში განაგრძობს კანონპროექტებზე მოსაზრებების მომზადებას, კანონმდებლობასა და პრაქტიკაში იდენტიფიცირებული პრობლემების გადაჭრის გზების ძიებასა და ადვოკატირებას, ამასთან, საზოგადოების ინფორმირებულობის გაზრდას მნიშვნელოვან უფლებრივ საკითხებზე.

ასოციაცია აქტიურად გააგრძელებს მუშაობას პარლამენტთან. ინიცირებულ კანონპროექტებზე მოამზადებს მოსაზრებებს და წარადგენს შესაბამის უფლებამოსილ პირებთან, რითაც კანონმდებლობასა და პრაქტიკაში იდენტიფიცირებულ პრობლემების ადვოკატირების გზით უზრუნველყოფს ადამიანის უფლებების საკანონმდებლო ბაზის გაუმჯობესებას საერთაშორისო სტანდარტების, პრინციპებისა და ნორმების შესაბამისად.

საია, შემდეგი წლების განმავლობაში ასევე ხელს შეუწყობს მნიშვნელოვანი სამართლებრივი საკითხების შესახებ საზოგადოების ინფორმირებულობის დონის გაზრდას, რითაც უზრუნველყოფს საზოგადოების მხარდაჭერას ორგანიზაციის ადამიანის უფლებათა ინიციატივების მიმართ.

ამოცანა 2.2. ადამიანის სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებებზე ინფორმირებულობის გაზრდა

საქართველოში სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების დაცვა წარმოადგენს დემოკრატიული განვითარებისა და კანონის უზენაესობის საფუძველს. მოსახლეობის უფლებების დაცვისა და სარეგულაციო მექანიზმების ფუნქციონირების გასაუმჯობესებლად აუცილებელია, რომ მოქალაქეები იყვნენ ინფორმირებულები საკუთარ უფლებებზე, ასევე იცოდნენ, რა ნაბიჯების გადადგმა შეუძლიათ საკუთარი უფლებების დასაცავად. ინფორმირებულობის გაზრდა ხელს უწყობს დემოკრატიის გაძლიერებას, რაც გამოიხატება იმაში, რომ ინფორმირებული მოქალაქეები უფრო აქტიურად არიან ჩართული დემოკრატიულ პროცესებში და უკეთ იაზრებენ მათი პოლიტიკური და სამოქალაქო უფლებების მნიშვნელობას. გარდა ამისა მოქალაქეების უფლებების დაცვისა და სამართლიანობის უზრუნველყოფა ეხმარება სოციალური უთანასწორობის შემცირებას ქვეყანაში და ეხმარება მოქალაქეებს სწრაფი რეაგირება მოახდინონ შესაძლო დარღვევებზე.

შემდეგი წლების განმავლობაში ასოციაცია, განაგრძობს ისეთი მნიშვნელოვანი უფლებრივი საკითხების მონიტორინგს, როგორიცაა სამოქალაქო სივრცის შევიწროვება, დემონსტრაციები, სამოქალაქო პროტესტის დროს დაკავებები და ძალის გადამეტება და

სხვა შესაძლო დარღვევები. ორგანიზაცია განახორციელებს დარღვევების დოკუმენტირებას და მასზე რეაგირებას, რომ დროულად მოხდეს შესაბამისი ორგანოებისა და საზოგადოების ინფორმირება.

ასოციაცია, სასამართლო მონიტორინგის გზით, განაგრძობს მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის შესახებ მდგომარეობის შეფასებასა და რეკომენდაციების მომზადებას, რომელსაც წარუდგენს საზოგადოებასა და შესაბამის ორგანოებს, ამასთან ხელს შეუწყობს უფრო ეფექტურ და ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით ადეკვატურ საკანონმდებლო გარემოს შექმნას. გარდა ამისა, იგეგმება კვლევის ყოველწლიურად ჩატარება, რომელიც შეაფასებს დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების მდგომარეობას ქვეყანაში.

მომავალი წლების განმავლობაში, ასოციაცია აქტიურად ითანამშრომლებს მედიასთან როგორც სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებრივ საკითხებზე ინფორმაციის მიწოდებით, ასევე მედია წარმომადგენლების გადამზადებით ადამიანის სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებრივ საკითხებთან დაკავშირებით, რაც ხელს შეუწყობს საზოგადოების სწორ და უკეთეს ინფორმირებულობას ადამიანის უფლებების დაცვის საკითხებში.

ამოცანა 2.3. ეთნიკური უმცირესობების სოციალური უფლებების შესახებ ცნობიერების ამაღლება

შემდეგი წლების განმავლობაში, ასოციაცია განაგრძობს ეთნიკური უმცირესობების ინფორმირებულობის გაზრდას მათი სოციალური უფლებების შესახებ, რითაც ხელს უწყობს მათ სოციალურ და ეკონომიკურ ინტეგრაციასა და ეფექტურ ჩართულობას ქვეყნის საზოგადოებრივ და ეკონომიკურ ცხოვრებაში. გარდა ამისა, ის ხელს შეუწყობს რომ ყველა მოქალაქე, ეთნიკური წარმოშობის მიუხედავად, თანაბრად სარგებლობდეს შესაძლებლობებით, რითაც შეამცირებს დისკრიმინაციისა და მარგინალიზაციის რისკებს.

ასოციაცია, აქტიურად დაგეგმავს ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ მუნიციპალიტეტებში მოსახლეობასთან შეხვედრებს იმ პრობლემების იდენტიფიცირებისთვის, რომელთა წარდგენაც მოხდება საზოგადოებასთან, რაც დაეხმარება საზოგადოებასა და ეთნიკურ უმცირესობებს პრობლემების გაცნობიერებასა და მათზე რეაგირებაში. ადვოკატირების პროცესში გათვალისწინებული გამოწვევების საფუძველზე შესაძლებელია საკანონმდებლო და ადმინისტრაციული ცვლილებების გატარება, რომლებიც უკეთეს პირობებს უზრუნველყოფს ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისთვის.

ამოცანა 2.4. გენდერულად მოტივირებულ ძალადობაზე გაუმჯობესებული უფლებრივი გარემოს ჩამოყალიბების ხელშეწყობა

გენდერულად მოტივირებული ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლა დემოკრატიული საზოგადოების და სამართლებრივი სახელმწიფოს ფუნდამენტური პრინციპების დაცვის აუცილებელი ნაწილია, შესაბამისად, ასოციაცია შემდეგი წლების განმავლობაში განაგრძობს ამ მიმართულებით სახელმწიფოში არსებული კანონმდებლობისა და პრაქტიკის გამოწვევების იდენტიფიცირებას და მათი გადაჭრის ეფექტიანი გზების ადოვკატირებას. ერთის მხრივ, იდენტიფიცირებული პრობლემების საფუძველზე შემუშავებული რეკომენდაციები დაეხმარება საკანონმდებლო გარემოს გაუმჯობესებას, რათა სახელმწიფომ უკეთ დაიცვას მსხვერპლი და უზრუნველყოს მისი უფლებები. მეორეს მხრივ, ასოციაცია ხელს შეუწყობს საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას გენდერული ძალადობის პრობლემის შესახებ, რაც გაზრდის მსხვერპლის მიმართ მხარდაჭერას და სოლიდარობას.

ამოცანა 2.5. უმაღლესი იურიდიული განათლების სისტემის მხარდაჭერა ადამიანის უფლებების პრაქტიკულ ასპექტებზე სტუდენტების ინფორმირებულობის გაზრდით

უმაღლესი იურიდიული განათლების სისტემის მხარდაჭერა ადამიანის უფლებების პრაქტიკულ ასპექტებზე სტუდენტების ინფორმირებულობის გაზრდით კრიტიკულად მნიშვნელოვანია საქართველოსთვის. ასოციაცია, განაგრძობს სტუდენტების პროფესიულ განვითარების ხელშეწყობას, მათი პრაქტიკული უნარების გაუმჯობესებას და ადამიანის უფლებების დაცვის მექანიზმების სწავლებას.

სტუდენტების ინფორმირებულობა არსებული გამოწვევების შესახებ ეხმარება მათ უკეთ გააცნობიერონ ადამიანის უფლებების დაცვის პროცესის სირთულეები და გადაჭრის გზები, რაც მათ მომავალი საქმიანობისთვის აუცილებელი უნარების ჩამოყალიბებაში დაეხმარება. ასოციაცია, შემდეგი წლების განმავლობაში განაგრძობს საზაფხულო და ზამთრის სკოლების ორგანიზებას, რითაც სტუდენტებს მიეცემათ შესაძლებლობა მიიღონ პრაქტიკული გამოცდილება ადამიანის უფლებების დაცვის პროცესში.

ამოცანა 2.6. საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებთან მჭიდრო კომუნიკაცია

საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებთან მჭიდრო კომუნიკაცია და თანამშრომლობა კრიტიკულად მნიშვნელოვანია ასოციაციის საქმიანობისთვის საქართველოში ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში. ამ მიმართულებით მუშაობა ხელს უწყობს გლობალური მხარდაჭერის მიღებას, ინფორმაციის სწრაფ გაცვლას, საერთაშორისო წნეხის გაძლიერებას და სხვადასხვა მიმართულებით საუკეთესო პრაქტიკის დანერგვას. ასოციაცია განაგრძობს ამ მიმართულებით აქტივობების

განხორციელებას, რომლებიც მოიცავს საერთაშორისო პლატფორმებზე მონაწილეობას და პარტნიორული ურთიერთობების გაღრმავებას, უზრუნველყოფს ადამიანის უფლებების დაცვის მექანიზმების გაუმჯობესებას და საქართველოს მოქალაქეების უფლებების დაცვის გაძლიერებას.

ასოციაცია შემდეგი წლების განმავლობაში აქტიურად მიიღებს მონაწილეობას საერთაშორისო პლატფორმებზე, კონფერენციებში, სამუშაო ჯგუფებსა და გენერალურ ასამბლეებში, რაც ერთის მხრივ, უზრუნველყოფს ასოციაციის ქსელის გაფართოებას და ახალი კავშირების დამყარებას, ხოლო, მეორეს მხრივ, საშუალებას მისცემს ორგანიზაციას გაეცნოს და გაიზიაროს სხვა ქვეყნების საუკეთესო პრაქტიკა.

ამოცანა 2.7. საერთაშორისო არასასამართლო ორგანოებთან კომუნიკაცია მათ მიერ საქართველოში უფლება დარღვევებზე რეაგირების მიზნით.

ასოციაცია, მომდევნო წლების განმავლობაში, განაგრძობს საერთაშორისო არასასამართლო ორგანოებთან კომუნიკაციას, რითაც უზრუნველყოფს, რომ საქართველოში არსებული უფლებადარღვევები იყოს საერთაშორისო საზოგადოების მიერ აღიარებული. საერთაშორისო არასასამართლო ორგანოებთან კომუნიკაცია ასევე ხელს უწყობს საერთაშორისო სტანდარტებისა და საუკეთესო პრაქტიკის დანერგვას ქვეყანაში, რაც მნიშვნელოვან როლს ასრულებს ადამიანის უფლებების დაცვის მექანიზმების გაუმჯობესებაში.

ამოცანა 2.8. ქვეყნისთვის გასაცემი რეკომენდაციების ფორმირებაში მონაწილეობის მიღება საერთაშორისო ორგანიზაციებში ჩრდილოვანი ანგარიშების წარდგენის გზით

მომავალი წლების განმავლობაში, ასოციაცია განაგრძობს ადამიანის უფლებების გაუმჯობესების მიზნით საერთაშორისო ორგანიზაციებში ჩრდილოვანი ანგარიშების მომზადებისა და წარდგენის გზით რეკომენდაციების ფორმირებაში მონაწილეობას, რომლის ფარგლებშიც ხელს შეუწყობს სამოქალაქო საზოგადოების ქსელის ფორმირებას და უზრუნველყოფს, რომ მეტი ორგანიზაცია იყოს ჩართული და ინფორმირებული ადამიანის უფლებების დარღვევის შესახებ. ამასთან, ხელს შეუწყობს საერთაშორისო სტანდარტების და რეკომენდაციების დანერგვას ქვეყანაში.

ასოციაცია გააგრძელებს სამოქალაქო ორგანიზაციების შესაძლებლობების გაძლიერებას ჩრდილოვანი ანგარიშების მომზადების წესებისა და ადვოკატირების სტრატეგიების შესახებ, რითაც უზრუნველყოფს მათი უნარების გაძლიერებას ეფექტურ ადვოკატირებაში, რაც ქვეყანაში გაზრდის ადამიანის უფლებების დაცვის მექანიზმების ეფექტურობას.

სტრატეგიული მიზანი 3. საზოგადოებისთვის კვალიფიციური სამართლებრივი დახმარების ხელმისაწვდომობის გაზრდა

საზოგადოების მოთხოვნებისა და საჭიროებების შესაბამისი კვალიფიციური სამართლებრივი დახმარების ხელმისაწვდომობის გაზრდა ასოციაციის სტრატეგიული პრიორიტეტია.

აღნიშნული მიმართულებით საია გეგმავს ორგანიზაციული საქმიანობის პრიორიტეტული მიმართულებების განსაზღვრას, შესაბამისი კრიტერიუმების განახლებას, სამართლებრივი პრაქტიკის განზოგადებას, პრაქტიკული სახელმძღვანელო დოკუმენტების შექმნას, სამართალწარმოების პროცესში პრაქტიკული გამოწვევებისა და საკანონმდებლო ხარვეზების იდენტიფიცირებას და მათ გადაჭრას, ასევე დაინტერესებული მხარეებისათვის სამართლებრივი გამოცდილების გაზიარებას.

ამოცანა 3.1. სამართლებრივი დახმარების მიზნებისთვის ორგანიზაციული საქმიანობის პრიორიტეტული მიმართულებების განსაზღვრა და კრიტერიუმების განახლება

უფასო სამართლებრივი დახმარების უზრუნველყოფა საია-ს საქმიანობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტი და საზოგადოების მხრიდან ყველაზე უფრო მოთხოვნადი სერვისია.

უფასო სამართლებრივი დახმარების სერვისის გაუმჯობესების მიზნით საია გეგმავს სხვადასხვა აქტივობების განხორციელებას.

საია განაახლებს უფასო სამართლებრივი დახმარების დებულებას და შესაბამის კრიტერიუმებს. აღნიშნული მიზნის მისაღწევად ორგანიზაცია შეისწავლის ქვეყანაში არსებულ უფლებრივ მდგომარეობას. კერძოდ, საია-ს მიმართ მოქალაქეების მომართვიანობის ანალიზით განისაზღვრება, თუ რომელი საზოგადოებრივი ჯგუფების უფლებებია უფრო მეტად დარღვეული და რა მიმართულებით. საზოგადოების მხრიდან უფასო სამართლებრივი დახმარების კუთხით არსებული მოთხოვნების განსაზღვრის მიზნით ჩატარდება ბაზრის კვლევა, ასევე განისაზღვრება, თუ რომელ საჭიროებებსა და მოთხოვნებს ვერ პასუხობს სახელმწიფოსა და სხვა ორგანიზაციების მიერ უზრუნველყოფილი იურიდიული დახმარების პროგრამები. განხორციელებული კვლევების საფუძველზე დადგინდება უფასო იურიდიული დახმარების პრიორიტეტული მიმართულებები საშუალოვადიან პერიოდში. ამასთანავე, განხორციელდება პარტნიორი დონორი ორგანიზაციების პრიორიტეტების ანალიზი და მათი სტრატეგიული მიმართულებების შესწავლა.

ამოცანა 3.2. სამართლებრივი პრაქტიკის განზოგადება და პრაქტიკული სახელმძღვანელო დოკუმენტების შექმნა

საია-ს მიერ დაგროვილი სამართლებრივი პრაქტიკის განზოგადება მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ორგანიზაციის საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლებას და შეზღუდული რესურსების უკეთესად გამოყენებას.

აღნიშნული ამოცანის შესასრულებლად, საია-ს პრიორიტეტული მიმართულებების სფეროებში არსებული საქმეების საუკეთესო პრაქტიკების გათვალისწინებით იგეგმება საქმის წარმოების ზოგადი სახელმძღვანელო დოკუმენტების შექმნა. 2026 წლის ბოლომდე საია შეიმუშავებს მინიმუმ 3 სახელმძღვანელო დოკუმენტს.

თბილისის და რეგიონების მასშტაბით ჩატარდება საია-ში არსებულ საქმეებთან მიმართებით სასამართლო გადაწყვეტილებების ანალიზი და შეიქმნება სასამართლო გადაწყვეტილებების მონაცემების ელექტრონული ბაზა, რაც ხელს შეუწყობს შესაბამისი საქმეების სწრაფად მოძიებასა და თემატურ დაჯგუფებას, ასევე დოკუმენტების გაზიარების გამარტივებას.

ამოცანა 3.3. სამართალწარმოების პროცესში პრაქტიკული გამოწვევებისა და საკანონმდებლო ხარვეზების იდენტიფიცირება და მათი გადაჭრა სტრატეგიული სამართალწარმოების და საკანონმდებლო ინიციატივების გზით

აღნიშნული ამოცანის შესასრულებლად, საია გააგრძელებს სტრატეგიული სამართალწარმოების განხორციელებას ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე. საშუალოვადიან პერიოდში გაგრძელდება სტრატეგიული საქმეების იდენტიფიცირება და მოხდება წარმომადგენლობის განხორციელება როგორც ადმინისტრაციულ ორგანოებში, ასევე სასამართლოებში.

ამოცანა 3.4. სამართლებრივი გამოცდილების გაზიარება დაინტერებული მხარეებისათვის

საია-ში დაგროვილი სამართლებრივი ცოდნის და გამოცდილების გაზიარება მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ქვეყანაში იურიდიული ცოდნის გავრცელებას და შესაბამისი კულტურის ამაღლებას.

აღნიშნული ამოცანის შესასრულებლად, სტუდენტებისათვის სამართლებრივი გამოცდილების გაზიარების მიზნით საია გეგმავს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან თანამშრომლობის გაგრძელებას. მოხდება შესაბამისი პარტნიორობების ინიცირება თანამშრომლობის მემორანდუმების გაფორმების გზით. 2026 წლის ბოლომდე გაფორმდება სულ მცირე ორი თანამშრომლობის მემორანდუმი. საია-ს ორგანიზებით სკოლის მოსწავლეებთან და სტუდენტებთან ჩატარდება თემატური შეხვედრები და ტრეინინგები. 2026 წლის ბოლომდე საია-ს ორგანიზებით

ჩატარდება 5 ტრეინინგი. ამასთან ერთად, საია-ს თანამშრომლები მონაწილეობას მიიღებენ სკოლების, უნივერსიტეტებისა და სასწავლო ორგანიზაციების მიერ ორგანიზებულ შეხვედრებსა და ტრეინინგებში.

საია ასევე შეუწყობს ხელს სამართალწარმოების პროცესში ჩართული ორგანიზაციათაშორისი გამოცდილების გაზიარების პლატფორმის შექმნას. ჩამოყალიბდება თემატური ქსელები როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე რეგიონულ დონეზე. აღნიშნული ქსელების ფარგლებში დაიგეგმება და განხორციელდება ერთობლივი აქტივობები, მათ შორის კონფერენციები და სამუშაო შეხვედრები. 2026 წლის ბოლომდე დამატებით შეიქმნება 2 თემატური ქსელი, ასევე, გამოცდილების გაზიარების მიზნით განხორციელდება 5 აქტივობა.

სტრატეგიული მიზანი 4. ორგანიზაციული გაძლიერებისა და მდგრადობის უზრუნველყოფა

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია მიზნად ისახავს უზრუნველყოს მისი გრძელვადიანი ეფექტურობა და აქტიურად იმუშაოს ორგანიზაციულ გაძლიერებასა და მდგრადობაზე. ეს სტრატეგიული მიზანი მოიცავს მმართველობის გაუმჯობესებას, ადამიანური რესურსების მართვის გაძლიერებას, შიდა პროცესების ოპტიმიზაციას და ფინანსური და ოპერატიული სტაბილურობის უზრუნველსაყოფას. მდგრადი და ადაპტირებული ორგანიზაციული სტრუქტურის ხელშეწყობით, საია ცდილობს შეინარჩუნოს საქართველოში თავისი როლი, როგორც ადამიანის უფლებებისა და დემოკრატიის წამყვანი დამცველის.

ამოცანა 4.1. ტალანტების მოზიდვა, შენარჩუნება, მუდმივი განვითარების ხელშეწყობა და გაძლიერება

საიას წარმატების საფუძველი ძლიერ და კომპეტენტურ გუნდშია. აღნიშნულის განსავითარებლად და გასაძლიერებლად საია მიზნად ისახავს არაერთი აქტივობის განხორციელებას.

საია ყოველწლიურად ჩაატარებს ტრენინგ-საჭიროებების კვლევას, რათა გამოავლინოს კონკრეტული სფეროები, სადაც თანამშრომლები საჭიროებენ შემდგომ განვითარებას. აღნიშნულიდან გამომდინარე, შემუშავდება პროფესიული ზრდის პროგრამა, რათა დასაქმებულთა 30-40%-მა ყოველწლიურად გაიაროს შესაბამისი ტრენინგი. უწყვეტი სწავლისადმი ეს ვალდებულება გააძლიერებს თანამშრომლების უნარებს, მათი კმაყოფილების და ზოგადად შესრულების დონეს, რაც საბოლოოდ სარგებელს მოუტანს ორგანიზაციას.

საია შეიმუშავებს სტაჟირების ერთიან მეთოდოლოგიას სტაჟირების სისტემის სტანდარტიზაციისა და გაუმჯობესებისათვის. გარდა ამისა, დანერგილი იქნება უკუკავშირის მექანიზმი სტაჟიორებისგან ინფორმაციის შესაგროვებლად, რაც მიზნად ისახავს მინიმუმ 70% დადებითი უკუკავშირის მიღებას. ეს ინიციატივა უზრუნველყოფს, რომ სტაჟიორებმა მიიღონ ღირებული სასწავლო გამოცდილება და საიამ მუდმივად გააუმჯობესოს სტაჟირების პროგრამა.

ორგანიზაციის ფარგლებში იურიდიული ცოდნისა და პრაქტიკული გამოცდილების გაზიარების ხელშეწყობის მიზნით, საია მოაწყობს ყოველთვიურ ღონისძიებებს, სადაც თანამშრომლებს შეეძლებათ გააზიარონ სიახლეები და საუკეთესო პრაქტიკა. მიზანია ყოველწლიურად მინიმუმ 11 ღონისძიების ჩატარება, თითოეულ ღონისძიებაზე თანამშრომლების 80%-ის დასწრებით. ასევე ჩატარდება კვარტალური პრეზენტაციები ცოდნის უფრო ღრმა გაზიარების, შიდა კომუნიკაციისა და თანამშრომლობის შემდგომი გაძლიერების მიზნით.

ამოცანა 4.2. მმართველობის მოდელის გაუმჯობესება

ეფექტური მმართველობა გადამწყვეტია საიას გამართული ფუნქციონირებისა და სტრატეგიული მიმართულებისთვის. შემდეგი ქვემიზნები მიზნად ისახავს მმართველობის მოდელის დახვეწას.

წევრების ჩართულობის გაზრდის მიზნით, საია განაახლებს და გააუმჯობესებს გაწევრიანების პროცედურას, რაც უზრუნველყოფს მის ინკლუზიურობას და გამჭვირვალობას.

ამოცანა 4.3. თანამშრომელთა საქმიანობის შეფასების სისტემის გაუმჯობესება

უწყვეტი გაუმჯობესებისა და ანგარიშვალდებულების უზრუნველსაყოფად, საია გააძლიერებს თანამშრომელთა საქმიანობის შეფასების სისტემას. არსებული საქმიანობის შეფასების სისტემა მოიცავს მხოლოდ კომპეტენციების შეფასებას, რაც სრულყოფილად არ მოიცავს თანამშრომლის საქმიანობის შესრულებას. შესაბამისად, საია გეგმავს შეფასების სისტემაში დაამატოს თანამშრომელთა მიზნების მიხედვით შესრულების კომპონენტი, რაც უზრუნველყოფს თანამშრომლებისათვის მკაფიო მიზნების დასახვას და შესრულების შეფასების მკაფიო მეტრიკების არსებობას. არსებულ სისტემასთან დაკავშირებული განმავითარებელი უკუკავშირი დაეხმარება თანამშრომლებს, მოახდინონ საკუთარი ძლიერი მხარეების იდენტიფიცირება და იზრუნონ გაუმჯობესების არსებული შესაძლებლობების ათვისებაზე.

ამოცანა 4.4. შიდა პროცესების გაუმჯობესებაზე ზრუნვა

შიდა პროცესების ოპტიმიზაცია და თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება აუცილებელია საოპერაციო ეფექტურობისთვის. შესაბამისად, საია მიზნად ისახავს დანერგოს პრაქტიკა, რომლის ფარგლებშიც თანამშრომლები პერიოდულად შეიკრიბებიან და იმსჯელებენ შიდაპროცესების გაუმჯობესების შესაძლებლობებზე. საია ყოველწლიურად განსაზღვრავს პროცესის გაუმჯობესების სფეროებს, შეიმუშავებს რეკომენდაციებს და განახორციელებს მინიმუმ სამი პროცესის გაუმჯობესებას ყოველწლიურად. ეს პროაქტიული მიდგომა უზრუნველყოფს შიდა პროცესების ეფექტურობას და ორგანიზაციის ოპერაციული საჭიროებების გადაწყვეტას.

გარდა ამისა, აღნიშნული კომპონენტი მოიცავს მოქალაქეებთან ურთიერთობის პროცესის გამარტივებას, რომელიც მოიცავს სატელეფონო მომსახურებისას რიგის მართვის სისტემისა და იურიდიული კონსულტაციებისათვის ონლაინ ჩაწერის სისტემის დანერგვას.

ამოცანა 4.5. თანამშრომელთა კეთილდღეობაზე, ჩართულობასა და მრავალფეროვნებაზე ზრუნვა

დამხმარე და ინკლუზიური სამუშაო გარემოს შექმნა გადამწყვეტია თანამშრომლების კმაყოფილებისა და შენარჩუნებისთვის. აღნიშნულის უზრუნველსაყოფად საია გეგმავს სხვადასხვა მიმართულებებით აქტივობების განხორციელებას.

საია შეიმუშავებს და განახორციელებს სამუშაო და ცხოვრების ბალანსის პოლიტიკას, რაც უზრუნველყოფს თანამშრომლებს ჯანსაღი ბალანსის შენარჩუნებას პროფესიულ და პირად ცხოვრებას შორის. ეს პოლიტიკა რეგულარულად განიხილება და მორგებული იქნება თანამშრომლების უკუკავშირსა და ორგანიზაციული საჭიროებებზე.

ინკლუზიური სამუშაო ადგილის ხელშეწყობისთვის, საია შეიმუშავებს და განახორციელებს მრავალფეროვნებისა და ინკლუზიის პოლიტიკას. ეს პოლიტიკა უნდა დაინერგოს იმისთვის, რომ ხელი შეუწყოს მრავალფეროვანი სამუშაო ძალის შექმნას და უზრუნველყოს ისეთი გარემო, სადაც ყველა თანამშრომელი იგრძნობს დაფასებასა და პატივისცემას.

საია განახორციელებს აქტივობებს თანამშრომელთა კეთილდღეობის გასაუმჯობესებლად, ყოველწლიურად მინიმუმ ოთხი ინიციატივით, რომლებიც მიმართულია ფიზიკური ჯანმრთელობისა და ფსიქიკური ჯანმრთელობის გაძლიერებაზე. გარდა ამისა, ყოველწლიურად მოეწყობა გუნდური აქტივობები, რომელშიც ჩართული იქნება თანამშრომლების 80%.

კონკურენტული ანაზღაურების უზრუნველსაყოფად ჩატარდება წლიური სახელფასო კვლევა. ხელფასების კორექტირება მოხდება მიზნობრივი ინფლაციის მაჩვენებლებისა

და პროექტების ბიუჯეტის მიხედვით, რათა შენარჩუნდეს სამართლიანობა და უზრუნველყოფილი იყოს თანამშრომელთა სათანადოდ მოტივირება.

ამოცანა 4.6. კიბერ და ინფორმაციული საფრთხეების მყისიერი იდენტიფიცირება და თავდაცვის მექანიზმების დანერგვა

საიასთვის მნიშვნელოვანია ორგანიზაციული მონაცემების დაცვა და კიბერუსაფრთხოების უზრუნველყოფა. შესაბამისად, საია შეიმუშავებს ინფორმაციულ და კიბერუსაფრთხოების პოლიტიკას, სისტემების რეგულარული შეღწევადობის ტესტირების ჩათვლით. ეს პროაქტიული მიდგომა უზრუნველყოფს ორგანიზაციის ციფრული ინფრასტრუქტურის უსაფრთხოებასა და მდგრადობას.

კიბერუსაფრთხოების ყოველწლიური ტრენინგი სავალდებულო იქნება ყველა თანამშრომლისთვის. ასევე შემუშავდება კრიზისის მართვის გეგმა პოტენციური საფრთხეებზე მოსამზადებლად და რეაგირებისთვის.

ამოცანა 4.7. რეგიონული ოფისების გაძლიერება და სათაო ოფისთან კომუნიკაციის გაუმჯობესება

რეგიონული ოფისების შესაძლებლობებისა, კოორდინაციის და კომუნიკაციის გაღრმავება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია საიას ეფექტიანობის გასაუმჯობესებლად.

საია ხელს შეუწყობს ყოველთვიურ დისკუსიებს სათაო ოფისსა და რეგიონულ ოფისებს შორის კოორდინაციისა და მხარდაჭერის გასაუმჯობესებლად. ეს დისკუსიები უზრუნველყოფს რეგიონული ოფისების შესაბამისობას ორგანიზაციის საერთო სტრატეგიასთან და მიზნებთან, რაც გაზრდის მათ ეფექტურობასა და გავლენას. გარდა ამისა, საია უზრუნველყოფს რეგიონული ოფისების თანამშრომლების ჩართულობას სათაო ოფისის მიერ განხორციელებულ პროექტებში, რაც განაპირობებს რეგიონული ოფისების თანამშრომლების კომპენტეციისა და პროფესიონალიზმის ამაღლებას და ამავდროულად ორგანიზაციის გუნდური სულისკვეთების გაუმჯობესებას.

ამოცანა 4.8. ორგანიზაციის ფინანსური სტაბილურობის უზრუნველყოფა

ფინანსური სტაბილურობა ასოციაციისათვის გადამწყვეტია საქმიანობის არსებული დონის შესანარჩუნებლად და მისიის მისაღწევად. ეს ამოცანა ფოკუსირებულია დაფინანსების წყაროების დივერსიფიკაციასა და შემოსავლების მომტანი საქმიანობის განვითარებაზე.

ფინანსური სტაბილურობის უზრუნველსაყოფად, საია შეიმუშავებს და დაამტკიცებს ფონდების მოზიდვის სტრატეგიას. ეს სტრატეგია განსაზღვრავს დაფინანსების მრავალფეროვან წყაროებს, მათ შორის გრანტებს, შემოწირულობებსა და ისეთ პარტნიორობას, რაც უზრუნველყოფს რესურსების სტაბილურ ნაკადებს. სტრატეგია

ასევე განსაზღვრავს დაფინანსების მოზიდვის კონკრეტულ მიზნებსა და ტაქტიკას, რაც გააძლიერებს საიას უნარს, უზრუნველყოს საჭირო სახსრები თავისი პროგრამებისა და ინიციატივებისთვის.

საია გეგმავს ფასიანი სერვისების დანერგვით და სასამართლო ხარჯების ანაზღაურების პოლიტიკის შემუშავებას. ეს ინიციატივა მოიცავს პოტენციური ფასიანი სერვისების დეტალურ აღწერას და 2025 წლისთვის ამ სერვისებიდან მინიმუმ ორის დანერგვას. მაღალი ხარისხის ფასიანი იურიდიული სერვისების მიწოდებით, საიას შეუძლია დამატებითი შემოსავალი გამოიმუშაოს და გააგრძელოს უფასო იურიდიული დახმარების შეთავაზება მიზნობრივი ჯგუფებისთვის.

იურიდიული განათლების ხელშეწყობის ფონდის ბაზაზე, საია შეიმუშავებს და განახორციელებს ფასიან ტრენინგ პროგრამებს. შეიქმნება სასწავლო პროგრამების კატალოგი, საიდანაც 2025 წლისთვის ამოქმედდება მინიმუმ ექვსი პროგრამა. ეს სასწავლო პროგრამები მოემსახურება იურიდიულ პროფესიონალებს და ფართო საზოგადოებას, რაც უზრუნველყოფს ღირებულ იურიდიულ განათლებას საიას საქმიანობის მხარდასაჭერად.

ამოცანა 4.9. მონიტორინგისა და შეფასების სისტემის გაუმჯობესება

ეფექტური მონიტორინგი და შეფასება (M&E) აუცილებელია საიას პროექტების გავლენის შესაფასებლად და ანგარიშვალდებულების უზრუნველსაყოფად.

საია გააუმჯობესებს და დაამტკიცებს მისი პროექტების მონიტორინგისა და შეფასების სისტემას. აღნიშნული სისტემა მოიცავს პროექტის შედეგების შეფასების მკაფიო მეთოდოლოგიებს და პროცესებს. გამოვლინდება პასუხისმგებელი თანამშრომელი, რომელიც ზედამხედველობას გაუწევს M&E აქტივობებს, რაც უზრუნველყოფს თანმიმდევრულობას და სიზუსტეს. მიზანია შეაფასოს განხორციელებული პროექტების მინიმუმ 80% გაუმჯობესებული მეთოდოლოგიით, რაც საიას საშუალებას მისცემს გაზომოს ეფექტურობა, ისწავლოს გამოცდილებიდან და გააუმჯობესოს სამომავლო პროექტის დაგეგმვა.

ამ სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების მიღწევით საია უზრუნველყოფს მის ორგანიზაციულ გაძლიერებასა და მდგრადობას, რაც საშუალებას მისცემს მას განაგრძოს ადამიანის უფლებების დაცვისა და დემოკრატიის განმტკიცების მისია საქართველოში.

სტრატეგიული მიზანი 5. სტრატეგიული კომუნიკაციის გაუმჯობესება

გამომდინარე იქიდან, რომ ასოციაცია ხშირად არის თავდასხმის ობიექტი, ეფექტური კომუნიკაცია და მედიის მეშვეობით პოზიტიური იმიჯის შექმნა ხელს შეუწყობს ორგანიზაციის სანდოობისა და მის მიმართ ნდობის გაზრდას როგორც ეროვნულ, ასევე საერთაშორისო დონეზე. ეფექტური სტრატეგიული კომუნიკაცია ასევე დაეხმარება ორგანიზაციას ადვოკატირების მიზნების მიღწევაში, რაც მოიცავს კანონმდებლობის გაუმჯობესებას, საჯარო პოლიტიკის რეფორმირებასა და ადამიანის უფლებების დაცვის გაძლიერებას. გარდა ამისა, სტრატეგიული კომუნიკაცია ხელს უწყობს მოქალაქეების უფრო აქტიურ ჩართულობას ისეთ დემოკრატიულ პროცესებში, როგორიცაა არჩევნები და საზოგადოებრივ საკითხებზე ღია დისკუსიების წარმოება.

ამოცანა 5.1. საიას ბრენდისა და ციფრული არხების გაძლიერება

ძლიერი ბრენდი და თანამედროვე ციფრული არხები უზრუნველყოფს ორგანიზაციის ცნობადობისა და სანდოობის ზრდას. შესაბამისად, ასოციაცია მომდევნო წლების განმავლობაში იმუშავებს ბრენდისა და ციფრული არხების გაძლიერებაზე, როგორც ლოგოსა და ბრენდბუქის, ასევე ვებგვერდის განახლებით.

ასოციაცია გააძლიერებს ციფრული არხების ეფექტურად გამოყენებას, რაც უზრუნველყოფს საზოგადოების უფრო აქტიურ ჩართულობას და მათ მიმართ ნდობის გაზრდას. განახლებული ბრენდი და ციფრული არხები ხელს შეუწყობს ინფორმაციის გავრცელებას ადამიანის უფლებების დარღვევების შესახებ, ასევე აუდიტორიის განათლებას და ინფორმირებულობის ამაღლებას.

ამოცანა 5.2. საიას რეპუტაციული და საინფორმაციო იმიჯის გაძლიერება

ასოციაციის რეპუტაციული და საინფორმაციო იმიჯის გაძლიერება მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს მის აღიარებას, როგორც ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში მოქმედი დამოუკიდებელი და კომპეტენტური ორგანიზაციისა. ძლიერი რეპუტაცია ზრდის ორგანიზაციის მიმართ ნდობას როგორც საზოგადოებაში, ასევე პარტნიორ ორგანიზაციებსა და დონორებს შორის. ერთის მხრივ, ეს ორგანიზაციას აძლევს შესაძლებლობას, უფრო ეფექტურად წარადგინოს და დაიცვას ადამიანის უფლებები, შეასრულოს ადვოკატირებისა და ლობირების ფუნქციები, ხოლო, მეორეს მხრივ, ინფორმირებული და ნდობით სავსე საზოგადოება უფრო მეტად ჩაერთვება ორგანიზაციის საქმიანობაში.

ამოცანა 5.3. მოქალაქეების ჩართულობის გაზრდა წინასაარჩევნო და მიმდინარე საარჩევნო პროცესში

საარჩევნო პროცესებში მოქალაქეების ჩართულობა აძლიერებს მათ სამოქალაქო ინფორმირებას და პასუხისმგებლობას, უზრუნველყოფს, საარჩევნო პროცესის გამჭვირვალობასა და ლეგიტიმურობას. შესაბამისად, ასოციაცია განაგრძობს ამ მიმართულებით აქტიურ საქმიანობას საინფორმაციო კამპანიების მეშვეობით. კერძოდ, საჯარო შეხვედრების ორგანიზებითა და ინფორმირებულობის დონის გაზრდით, ორგანიზაცია მოიზიდავს დამკვირვებლებსა და მოხალისეებს საარჩევნო პროცესებში ჩასართავად, განსაკუთრებით ახალგაზრდებთან კომუნიკაციით, რითაც აამაღლებს მათი სამოქალაქო პასუხისმგებლობის და აქტივობის დონეს. ამასთან, ხელს უწყობს სამოქალაქო ცნობიერების და დემოკრატიული ღირებულებების გავრცელებას.

საარჩევნო პროცესების მიმართ საზოგადოების ნდობის გაზრდის მიზნით, ასოციაცია აქტიურად ითანამშრომლებს მედიასთან და ჟურნალისტების ინფორმირებულობის გაზრდით უზრუნველყოფს, რომ საარჩევნო პროცესები გამჭვირვალე და სამართლიანი იყოს. ამასთან, ორგანიზაცია ხელი შეუწყოს საზოგადოების ეფექტიან ინფორმირებას და ეცდება უზრუნველყოს ნებისმიერი დარღვევის სწრაფად გამოვლენა და განხილვა.

ამოცანა 5.4. საიას სპიკერების გაძლიერება განგრძობადი ტრენინგებით მედიასთან კომუნიკაციაში.

მედიასთან კომუნიკაცია მოითხოვს სპეციფიკურ უნარებს, რომლებიც უზრუნველყოფენ ინფორმაციის მკაფიოდ და სწორად გადაცემას. მომდევნო წლების განმავლობაში, ასოციაცია განაგრძობს ორგანიზაციის სპიკერების მედია კომუნიკაციის უნარების გაძლიერებას სპეციალური ტრენინგებით, რაც დაეხმარება სპიკერებს მედიასთან ურთიერთობის ტექნიკის უკეთ გაგებაში, ეს კი მოიცავს ინტერვიუების მიცემას, პრეს-რელიზების მომზადებასა და ჟურნალისტებთან ურთიერთობას. ეს ტრენინგები დაეხმარება სპიკერებს საჯარო გამოსვლებში თავდაჯერებულობის გაზრდაში, რაც მედიასთან ურთიერთობის დროს მათ უფრო ეფექტურ სპიკერებად აქცევს. გარდა ამისა, ეს ტრენინგები დაეხმარება სპიკერებს უფრო ეფექტურად და პროფესიონალურად გაავრცელონ ინფორმაცია და სწორად გადმოსცენ შესაბამისი მესიჯები.

ამოცანა 5.5. მედიასთან კომუნიკაციის გაძლიერება

მედია საშუალებებთან მჭიდრო და მუდმივი ურთიერთობა ხელს შეუწყობს ასოციაციას და მედიას შორის ნდობის დამყარებას, რაც მომავალში უფრო წარმატებულ და ხანგრძლივ თანამშრომლობას უზრუნველყოფს. აქტიური მედია კომუნიკაცია ორგანიზაციის გამჭვირვალობისა და სანდოობის დონის ამაღლებას შეუწყობს ხელს, რაც საზოგადოების ნდობისა და მხარდაჭერის მოპოვებაში დაეხმარება.

ასოციაცია აქტიურად იმუშავებს მედია ტურების ორგანიზების, ტრენინგებისა და ასოციაციას სპიკერების მედიაში აქტიურად გამოჩენის მიმართულებით. მედიასთან აქტიური კომუნიკაციისა და გადამზადების საშუალებით საია შეძლებს, რომ თავისი პროფესიონალიზმი და კომპეტენცია საზოგადოების წინაშე წარმოაჩინოს, რაც ხელს შეუწყობს ორგანიზაციის დადებითი იმიჯის ჩამოყალიბებას. გარდა ამისა, მედიასთან თანამშრომლობით და მათი მხარდაჭერით, ასოციაციას შეეძლება, რომ თავისი მესიჯები და ინფორმაცია უფრო ფართო აუდიტორიას მიაწოდოს, რაც ორგანიზაციის ზეგავლენას გააფართოებს.

ამოცანა 5.6. ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან პარტნიორობის გაძლიერება

ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან პარტნიორობა საშუალებას აძლევს ორგანიზაციას მოიძიოს დამატებითი რესურსები, მათ შორის, მოახდინოს საჭირო ფინანსური მხარდაჭერის, ტექნიკური ცოდნისა და ადამიანური რესურსების მობილიზება. ამასთან, ეს პარტნიორობა ქმნის ახალი ცოდნისა და გამოცდილების გაზიარების შესაძლებლობას, რაც ხელს უწყობს ინოვაციურ მიდგომებს და საუკეთესო პრაქტიკის დანერგვას. ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა ასოციაციას სანდოობას მატებს, რაც მას საზოგადოებასა და სხვადასხვა პარტნიორებთან ურთიერთობებში უფრო ძლიერ პოზიციას უქმნის.

მომავალი წლების განმავლობაში, საია აქტიურად იმუშავებს ორგანიზაციის საქმიანობის წარმოსაჩენად, შეხვედრებისა და დისკუსიის ფორმატში წარადგენს წლიურ ანგარიშებს, რაც დაეხმარება როგორც საკუთარი საქმიანობის შედეგების ფართო საზოგადოებისთვის გაცნობაში, ასევე ქსელური ურთიერთობის გამყარებაში.

გარდა ამისა, საია, აქტიურად მიიღებს მონაწილეობას გაცვლით ვიზიტებში, სხვადასხვა საერთაშორისო გამოცდილების გასაზიარებლად, რაც გაზრდის ასოციაციის ზეგავლენას და მხარდაჭერას ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე.

ამოცანა 5.7. კრიზისული კომუნიკაციის გეგმა

კრიზისული სიტუაციების დროს, ორგანიზაციის უნარი, უზრუნველყოს სწრაფად და ეფექტურად რეაგირება, კრიტიკული მნიშვნელობისაა. კარგად შემუშავებული კრიზისული კომუნიკაციის გეგმა ამარტივებს პროცესს, უზრუნველყოფს მზადყოფნას და ამცირებს დაბნეულობის რისკს. ასოციაცია გეგმავს აქტიურად იმუშაოს ამ მიმართულებით და შეიმუშაოს ორგანიზაციული პოლიტიკა და პროცედურები, რომელიც კრიზისულ სიტუაციაში მას შესაძლებლობას მისცემს, ეფექტურად უზრუნველყოს მედიასა და საზოგადოებასთან კომუნიკაცია.

სტრატეგიული ჩარჩო

ჩვენ ვიცავთ ადამიანის უფლებებს და ვაძლიერებთ დემოკრატიას ღირსეული, სამართლიანი და თანასწორი გარემოსთვის.

სტრატეგიული მიზანი 1. დემოკრატიული პროცესების გაძლიერების ხელშეწყობა

- ამოცანა 1.1. სამართლიანი საარჩევნო გარემოს უზრუნველყოფა
- ამოცანა 1.2 მართლმსაჯულების და სამართალდამცავი ორგანოების სისტემის ინსტიტუციური დამოუკიდებლობის გაძლიერების ხელშეწყობა
- ამოცანა 1.3 ადგილობრივი მოსახლეობის და თვითმმართველი ორგანოების მხარდაჭერა
- ამოცანა 1.4. საპარლამენტო ცხოვრების გაუმჯობესების ხელშეწყობა
- ამოცანა 1.5. ცენტრალურ და ადგილობრივ დონეზე საჯარო მმართველობის პრინციპების განმტკიცება
- ამოცანა 1.6. ევროინტეგრაციის ხელშეწყობა

სტრატეგიული მიზანი 2. ადამიანის უფლებების დაცვა ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე

- ამოცანა 2.1. მნიშვნელოვან უფლებრივ საკითხებზე ადგილობრივი ადვოკატირების პლატფორმების გამოყენება
- ამოცანა 2.2. ადამიანის სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებებზე ინფორმირებულობის გაზრდა
- ამოცანა 2.3. ეთნიკური უმცირესობების მოსახლეობის სოციალური უფლებების შესახებ ცნობიერების ამაღლება
- ამოცანა 2.4. გენდერულად მოტივირებულ ძალადობაზე გაუმჯობესებული უფლებრივი გარემოს ჩამოყალიბების ხელშეწყობა
- ამოცანა 2.5. უმაღლესი იურიდიული განათლების სისტემის მხარდაჭერა ადამიანის უფლებების პრაქტიკულ ასპექტებზე სტუდენტების ინფორმირებულობის გაზრდით
- ამოცანა 2.6. საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებთან მჭიდრო კომუნიკაცია
- ამოცანა 2.7. საერთაშორისო არასასამართლო ორგანოებთან კომუნიკაცია მათ მიერ საქართველოში უფლება დარღვევებზე რეაგირების მიზნით.
- ამოცანა 2.8. ქვეყნისთვის გასაცემი რეკომენდაციების ფორმირებაში მონაწილეობის მიღება საერთაშორისო ორგანიზაციებში ჩრდილოვანი ანგარიშების წარდგენის გზით

სტრატეგიული მიზანი 3. საზოგადოებისთვის კვალიფიციური სამართლებრივი დახმარების ხელმისაწვდომობის გაზრდა

- ამოცანა 3.1. სამართლებრივი დახმარების მიზნებისთვის ორგანიზაციული საქმიანობის პრიორიტეტული მიმართულებების განსაზღვრა და კრიტერიუმების განახლება
- ამოცანა 3.2. სამართლებრივი პრაქტიკის განზოგადება და პრაქტიკული სახელმძღვანელო დოკუმენტების შექმნა
- ამოცანა 3.3. სამართალწარმოების პროცესში პრაქტიკული გამოწვევებისა და საკანონმდებლო ხარვეზების იდენტიფიცირება და მათი გადაჭრა სტრატეგიული სამართალწარმოების და საკანონმდებლო ინიციატივების გზით.
- ამოცანა 3.4. სამართლებრივი გამოცდილების გაზიარება დაინტერესებული მხარეებისათვის

სტრატეგიული მიზანი 4. ორგანიზაციული გაძლიერებისა და მდგრადობის უზრუნველყოფა

- ამოცანა 4.1. ტალანტების მოზიდვა, შენარჩუნება, მუდმივი განვითარების ხელშეწყობა და გაძლიერება
- ამოცანა 4.2. მმართველობის მოდელის გაუმჯობესება
- ამოცანა 4.3. თანამშრომელთა საქმიანობის შეფასების სისტემის გაუმჯობესება
- ამოცანა 4.4. შიდა პროცესების გაუმჯობესებაზე ზრუნვა
- ამოცანა 4.5. თანამშრომელთა კეთილდღეობასა და მრავალფეროვნებაზე ზრუნვა
- ამოცანა 4.6. კიბერ და ინფორმაციული საფრთხეების მყისიერი იდენტიფიცირება და თავდაცვის მექანიზმების დანერგვა
- ამოცანა 4.7. რეგიონული ოფისების გაძლიერება და სათაო ოფისთან კომუნიკაციის გაუმჯობესება
- ამოცანა 4.8. ორგანიზაციის ფინანსური სტაბილურობის უზრუნველყოფა
- ამოცანა 4.9. მონიტორინგისა და შეფასების სისტემის გაუმჯობესება

სტრატეგიული მიზანი 5. სტრატეგიული კომუნიკაციის გაუმჯობესება

- ამოცანა 5.1. საიას ბრენდისა და ციფრული არხების გაძლიერება
- ამოცანა 5.2. საიას რეპუტაციული და საინფორმაციო იმიჯის გაძლიერება
- ამოცანა 5.3. მოქალაქეების ჩართულობის გაზრდა წინასაარჩევნო და მიმდინარე საარჩევნო პროცესში
- ამოცანა 5.4. საიას სპიკერების გაძლიერება განგრძობადი ტრენინგებით მედიასთან კომუნიკაციაში.
- ამოცანა 5.5. მედიასთან კომუნიკაციის გაძლიერება
- ამოცანა 5.6. ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან პარტნიორობის გაძლიერება
- ამოცანა 5.7. კრიზისული კომუნიკაციის გეგმა

დანართი I. სტრატეგიის განხორციელებასთან დაკავშირებული რისკები და მათი მართვა

სტრატეგიის განხორციელებასთან დაკავშირებული რისკების მართვა საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის (საია) სტაბილურობის, ეფექტურობისა და მდგრადობის უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანი ასპექტია. რისკის მართვის შემდეგი გეგმა ეხება სხვადასხვა პოტენციურ საფრთხეებს და ასახავს პრევენციულ ზომებს ამ რისკების შესამცირებლად. აღნიშნული გეგმა ორიენტირებულია საიას ციფრული უსაფრთხოების, ფინანსური მდგრადობის, თანამშრომელთა კეთილდღეობისა და ორგანიზაციული რეპუტაციის შენარჩუნებაზე.

ინფორმაციული და კიბერ უსაფრთხოება

ინფორმაციული უსაფრთხოება უმნიშვნელოვანესია სენსიტიური ინფორმაციის დასაცავად და საიას ოპერაციების მთლიანობის შესანარჩუნებლად. კიბერშეტევების რისკის შესამცირებლად, საია მოიძიებს დაფინანსებას დონორებისგან კიბერუსაფრთხოების ინფრასტრუქტურის გასაუმჯობესებლად. გარდა ამისა, ორგანიზაცია შეიმუშავებს და განახორციელებს კიბერუსაფრთხოების პოლიტიკას, რომელიც მოიცავს ინფორმაციული უსაფრთხოების ორგანიზაციული პროტოკოლებისა და პროცედურების დანერგვას, რეგულარულ ტრენინგს თანამშრომლებისთვის დამტკიცებული ორგანიზაციული პოლიტიკისა და საუკეთესო პრაქტიკის შესახებ, ციფრული სისტემების რუტინულ აუდიტს და უსაფრთხოების მოწინავე პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენებას დარღვევებისგან თავის დასაცავად.

მონაცემთა დაცვა

პერსონალური მონაცემების დაცვა უკანონო გავრცელებისგან კრიტიკული მნიშვნელობის საკითხია. საია შეიმუშავებს მონაცემთა დაცვის მკაცრ პოლიტიკას და ჩაატარებს რეგულარულ ტრენინგებს თანამშრომლებისთვის მონაცემთა დამუშავებისა და კონფიდენციალურობის პროტოკოლების შესახებ. მუდმივი მონიტორინგი ხელს შეუწყობს პოტენციური საფრთხეების სწრაფ აღმოჩენასა და რეაგირებას.

ფინანსური მდგრადობა და სამართლებრივი ჯარიმები

საიას ფინანსური მდგრადობა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია მისი ფუნქციონირებისთვის. „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონიდან მომდინარე პოტენციური ჯარიმების გათვალისწინებით, საია განახორციელებს დაფინანსების წყაროების დივერსიფიკაციას. შესაძლოა მიზანშეწონილი იყოს ქრაუდფანდინგის კამპანიების გამოყენება. ამავდროულად შენარჩუნდება პროაქტიული კომუნიკაცია არსებულ და პოტენციურ დონორებთან მუდმივი ფინანსური მხარდაჭერის უზრუნველსაყოფად. ფინანსური სტაბილურობისთვის აუცილებელია დონორების

სტაბილური ნაკადის შენარჩუნება. საია ჩაერთვება პროაქტიულ კომუნიკაციაში არსებულ და პოტენციურ დონორებთან, რაც ხელს შეუწყობს მუდმივი დაფინანსებისა და მხარდაჭერის უზრუნველყოფას.

თანამშრომლების დენადობა და მოტივაციის დონის დაქვეითება

თანამშრომლების მაღალი დონის დენადობა და პერსონალის მოტივაციის დაქვეითება მნიშვნელოვანი რისკებია, რამაც შეიძლება ხელი შეუშალოს ორგანიზაციულ ოპერაციებს. ამ საკითხების გადასაჭრელად, საია ხელს შეუწყობს ღია საკომუნიკაციო არხებს, სადაც თანამშრომლებს შეუძლიათ თავისუფლად გამოხატონ მოსაზრებები. თანამშრომლების ფსიქიკური ჯანმრთელობის მხარდასაჭერად ჩატარდება რეგულარული ინდივიდუალური კონსულტაციები ფსიქოლოგთან. გარდა ამისა, მოეწყობა ხშირი გუნდური აქტივობები და პროფესიული განვითარების შესაძლებლობები მორალის ამაღლებისა და ტალანტების შესანარჩუნებლად.

თანამშრომლების დემოტივაცია და გადინება კრიტიკული მნიშვნელობის რისკებია, რომლებმაც შეიძლება გავლენა მოახდინონ ორგანიზაციის მუშაობაზე. ამ პრობლემის გადასაჭრელად, საიას მმართველი გუნდი ჩაერთვება ხშირ კომუნიკაციაში თანამშრომლებთან, რათა ისინი ინფორმირებულები იყვნენ და ჩაერთონ ორგანიზაციულ გადაწყვეტილებებში. ჩატარდება რეგულარული ინდივიდუალური სესიები მენეჯერებთან პირადი და პროფესიული პრობლემების გადასაჭრელად.

დასაქმებულთა სტრესის მართვის გაუარესების თავიდან ასაცილებლად, საია განახორციელებს ღია კომუნიკაციას თანამშრომლებთან, ასევე რეგულარული ინდივიდუალური სესიები ფსიქოლოგთან იქნება ხელმისაწვდომი, რათა დაეხმაროს თანამშრომლებს სტრესის მართვაში და ფსიქიკური ჯანმრთელობის შენარჩუნებაში.

ინფრასტრუქტურული უსაფრთხოება

საიას ოფისების ფიზიკური უსაფრთხოება, განსაკუთრებით თბილისში, საყურადღებოა. მსგავსი ინციდენტების თავიდან ასაცილებლად, საია დაიქირავებს უსაფრთხოების სამსახურს ოფისების დასაცავად. ჩატარდება უსაფრთხოების რეგულარული შეფასებები დაუცველობის იდენტიფიცირებისა და აღმოფხვრის მიზნით, რაც უზრუნველყოფს ოფისის გარემოს უსაფრთხოებას თანამშრომლებისა და ვიზიტორებისთვის.

გავლენა ოჯახის წევრებზე

დასაქმებულთა ოჯახის წევრების უსაფრთხოებასა და კეთილდღეობაზე შეიძლება გავლენა იქონიოს მიმდინარე სიტუაციამ. ამ რისკის შესამცირებლად, ორგანიზაცია შეინარჩუნებს მკაფიო კომუნიკაციას ოჯახის წევრებისთვის, რაც უზრუნველყოფს მათ ინფორმირებას საიას მუშაობისა და პოტენციური რისკების შესახებ.

ქონების კონფისკაცია

ქონების ჩამორთმევის შემთხვევაში საია გადავა დისტანციური მუშაობაზე ოპერაციების უწყვეტობის უზრუნველსაყოფად. შეიქმნება უსაფრთხო ციფრული ინფრასტრუქტურა დისტანციური მუშაობის მხარდასაჭერად და შემუშავდება საგანგებო გეგმები ლოგისტიკური გამოწვევების სამართავად, რომლებიც დაკავშირებულია დისტანციურ ოპერაციებზე უეცარ გადასვლასთან.

რეპუტაციული რისკი

საქმიანობის წარუმატებელ შემთხვევებსა და საზოგადოების ნდობის დაქვეითებასთან დაკავშირებული რისკების სამართავად, საია შეინარჩუნებს გამჭვირვალობას ბენეფიციარებთან შესრულებული სამუშაოს შედეგების შესახებ ინფორმირებითა და დამდგარი შედეგების განმარტებით. სხვადასხვა მედია არხებით გარე კომუნიკაციების გაძლიერება ხელს შეუწყობს საზოგადოების ნდობის განმტკიცებას და საიას სამართლიანობისა და ადამიანის უფლებებისადმი ერთგულების წარმოჩენას.

საბოლოოდ, საია სისტემატურად განაახლებს თავის სტრატეგიულ გეგმას, გააერთიანებს მიღებული გაკვეთილებისა და თანამშრომლებისა და დაინტერესებული მხარეების უკუკავშირს. ეს განმეორებითი პროცესი უზრუნველყოფს, რომ ორგანიზაცია დარჩეს ადაპტირებადი და გამძლე გამოწვევების წინაშე.

ამ პრევენციული ღონისძიებების განხორციელებით და მხარდამჭერი, გამჭვირვალე და უსაფრთხო სამუშაო გარემოს ხელშეწყობით, საია გააძლიერებს რისკებზე რეაგირების უნარს და განაგრძობს სასიცოცხლო მნიშვნელობის მუშაობას საქართველოში ადამიანის უფლებებისა და დემოკრატიის ხელშეწყობისთვის.